www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 10 აგვისტო, 2012 წელი. | №3087 (180) | ფასი 50 თეთრი

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი "პუტინის ადვოკატები"

მარი ახსიაშვილი

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ 8 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმიანება. საქართველოს საგარეო უწყება ხაზს უსვამს, რომ პუტინის განცხადება ნათლად მიუთითებს რუსეთის აგრესიის წინასწარგანზრახულობასა და რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის სრულ უგულებელყოფაზე. საგარეო უწყების შეფასებითვე, ეს განცხადება ეწინააღმდეგება რუსეთის ადრეულ პოზიციასაც, თითქოს მან 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოს მოქმედებების საპასუხოდ განახორციელა და მიზნად ისახავდა "გენოციდის შეჩერებას" და "რუსეთის მოქალაქეების დაცვას".

"იმის აღიარებით, რომ ცხინვალის რეჟიმის შეიარაღებულ ფორმირებებს რუსეთის ძალები ამზადებდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, პრეზიდენტმა პუტინმა დაადასტურა, რომ რუსეთი უგულებელყოფდა მშვიდობისმყოფელის ვალდებულებებს. ამგვარად, რუსეთის მოქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სამშვიდობო შეთანხმებებს და ურცხვად ხელყოფდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. პრეზიდენტ პუტინის პირდაპირი აღიარება, რომ 2008 წლის აგრესია წინასწარგანზრახული ხასიათის იყო, კონფლიქტის არსის შეფასებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"ბელარუსის სუკ-ი მძევლებს შვედ პილოტებზე ცვლის"

ივა შილაკაძე

ზუსტად ამ მყვირალა სათაურით გამოაქვეყნა სტატია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადების თაობაზე ფინანსური ამბების ბელარუსულმა სააგენტომ. საქმე იმ მსუბუქძრავიანი თვითმფრინავის პილოტებს ეხება, რომლებმაც ბელარუსში ჰაერიდან გადმოყარეს სათამაშო დათვები ზედ დამაგრებული პროკლამაციებით ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების მხარდასაჭერად.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6457⇓
1 ევრო	2.0433⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5758⇓
1 თურქული ლირა	0.9230⇓
100 რუსული რუბლი	5.1973⇓

თბილისი	36°C - 23°C
ქუთაისი	31°C - 21°C
თელავი	36°C - 19°C
ზუგდიდი	29°C - 21°C
ბათუმი	27°C - 23°C

ნავთობი	3.03	+0.03	+0.96%
გაზი	2.91	-0.05	-1.72%
ოქრო	1,614.70	+4.00	+0.25%
ხორბალი	896.75	+7.75	+0.86%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

"დილას" სამბურთიანი სასწაული და გამხეცებული კვიპროსელები

მათე ვაწაძემ ორი გოლი გაიტანა

აუდიტის სამსახურის ანგარიშში "კოალიცია" ლიდერობს



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესახებ ანგარიში გამოქვეყნა. ანგარიშში შესულია ფინანსური ინფორმაცია 2012 წლის 1 იანვრიდან 25 ივლისის ჩათვლით, ყველა იმ პოლიტიკური პარტიის შესახებ, რომლებმაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფინანსური დეკლარაციები წარუდგინეს.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წყაროების 90 პროცენტზე მეტი უკანონო შემოწირულობაა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშით, პოლიტიკურ პარტიათა მთლიანი შემოსავლები ასე გამოიყურება: პოლიტიკური გაერთიანება "კოალიცია" - 44 578 454 ლარი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 9 683 165 ლარი, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" - 862 535, "განახლებული საქართველოსთვის" - 634 577, "თავისუფალი საქართველო" - 485 927, "ლეიბორისტული პარტია" - 276 712, "ახალი მემარჯვენეები"- 300 805 ლარი, დანარჩენი 15 პარტია - 488 617 ლარი.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

რევაზ ჩომახიძე: "მომავალ ოლიმპიადაზე უნდა ვიყოთ"

წყალბურთელებს საინტერესო ტურნირი აქვთ

პრეზიდენტმა ახალციხეში იუსტიციის სახლი გახსნა

მიხეილ სააკაშვილმა ახალციხეში იუსტიციის სახლი გახსნა. შენობაში ფუნქციონირებს საოლქო პროკურატურა, რაიონული პროკურატურა, საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი, აღსრულების ბიურო, ენერგეტიკის სამინისტროს ტყისა და ველური ბუნების მართვის სააგენტო. მათში 85-მდე ადამიანია დასაქმებული.

იუსტიციის სახლის გახსნისას პრეზიდენტმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა. ქვეყნის პირველი პირი 2008 წლის აგვისტოს ომსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ქვეყანა განვითარებასა და დემოკრატიული გზით სვლას გააგრძელებს. სააკაშვილმა გაიხსენა ოთხი წლის წინანდელი ვითარება, როდესაც მისი ფოთში ყოფნისას ქალაქს რუსულ სამხედრო ძალები მიადგნენ.

"მათ ფოთის შესასვლელთან გადაუდგა ადგილობრივი პოლიციის რაზმი, მსუბუქად შეიარაღებულები. რუსებს თან ახლდათ ერთი ქართველი, ჩვეულებრივ, ქართულად მოლაპარაკე ერთი სუბიექტი, სხვათა შორის, მაშინ რამდენიმე ასეული ქართველი იყო მათ შეიარაღებულ რაზმში. ამ ქართველმა უთხრა ჩვენს პოლიციელებს, ნუ გეშინიათ, ჩვენ ფოთში ჩავალთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი ადამიანი, არავის არაფერს დავუშავებთო. ამ პოლიციელმა უპასუხა, ამ შემთხვევაში ის ერთი ადამიანი საქართველოაო. მე არასდროს გავკადნიერდები ისე, რომ ჩემს მოკრძალებულ პიროვნებას იდენტიფიკაცია გავუკეთო და საქართველოსთან გავაიგივო, მაგრამ საუბარი იყო ეროვნულ სიმბოლოებზე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მისივე თქმით, რუსებისთვის საქართველოს მთავრობის ფიზიკური განადგურება საქართველოს დამონების ტოლფასი იყო მაშინ და ასევე რჩება ახლაც.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ბელა მსუქნიშვილს დედის

თინა ალადაშვილი - მსუქნიშვილის

გარდაცვალების გამო.

აუდიტის სამსახურის ანგარიშში "კოალიცია" ლიდერობს

პირველი გვერდიდან

ანგარიშის მიხედვით, უკანონო შემოწირულობათა ყველაზე მეტი რაოდენობა პოლიტიკურ გაერთიანება "კოალიციაზე" მოდის - 18 393 634 ლარი, "ნაციონალურმა მოძრაობამ" უკანონო შემოწირულობის სახით 102 572 ლარი მიიღო, "განახლებულმა საქართველომ" - 64 425 ლარი, "თავისუფალმა საქართველომ" - 56 969 ლარი, ხოლო "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანმა საქართველომ" - 1600 ლარი.

უკანონო შემოწირულობები 58-მა ფიზიკურმა პირმა და 4-მა იურიდიულმა პირმა განახორციელა.

აუდიტის სამსახურის ანგარიშით, მთლიანი თანხებიდან, "კოალიციას" კანონიერი გზით 26 184 820 ლარი აქვს მიღებული, "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" - 9 580 594 ლარი, "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" - 862 535 ლარი, "ლეიბორისტული პარტიას" - 276 712 ლარი, "ახალი მემარჯვენეებს" - 300 805 ლარი.

პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი რაოდენობით საბიუჯეტო დაფინანსება მიიღო "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" - 1 495 514 ლარი, "კოალიციამ" - 964 920, "ქრისტიანულ დემოკრატიულმა მოძრაობამ" - 607 818, "ლეიბორისტულმა პარტიამ" - 358 079, "ახალმა მემარჯვენეებმა" - 144 673 და სხვა 18 პარტიმ - 229 366 ლარი.

აუდიტის სამსახური ბიძინა ივანიშვილს და კახა კალაძეს ფულის პირად ანგარიშებზე დაბრუნებას სთხოვს

მარი ახსიაშვილი

გუშინ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა და კახი კალაძემ კუთვნილი საბანკო ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის სახით, დანიშნულების მითითების გარეშე სოლიდური თანხები გაიტანეს. კერძოდ, აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა გაანაღდა 5.552.135 ლარი, ხოლო კახი კალაძემ - 3.388.992 ლარი.

აუდიტის სამსახურმა ბიძინა ივანიშვილს და კახი კალაძეს გაუგზავნა წერილი, რათა წარმოედგინათ დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია ამ თანხებით განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რაზეც დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს.

"სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მილიონობით ლარის ხარჯვის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტის დადასტურების მიზნით, ბიძინა ივანიშვილს და კახი კალაძეს გაეგზავნათ წერილი, რათა წარმოედგინათ დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია ამ თანხებით განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რაზეც დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება. პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის მიზნებიდან გამომდინარე, გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე ორივე ფიზიკურ პირს მიეცა წინადადება, დანიშნულების გარეშე, ნაღდი ფულის სახით გატანილი სოლიდური თანხები დააბრუნონ საკუთარ პირად ანგარიშებზე," - აღნიშნულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადებაში.

პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძის შეფასებით, კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერების ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის მართალ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წაყენებული მოთხოვნა აბსურდულია. მისი თქმით, სახელმწიფო აუდიტს მიეწოდება ინფორმაცია ყველა სახის შემოსავლისა თუ გასავლის შესახებ, რომლებიც ამ ადამიანების პოლიტიკურ საქმიანობას ეხება, მაგრამ ფიზიკური პირების ანგარიშების განკარგვის უფლება აუდიტის სამსახურს არა აქვს.

"ამიტომ, როგორ გამოიყენა საკუთარი ანგარიშები და სად დახარჯა ფული ფიზიკურმა პირმა, აუდიტის სამსახურის გამოსაკვლევი არ არის. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკუთარი კომპეტენციის ზღვარს სცდება," - ამბობს კობახიძე.

"ქართული ოცნების" ადვოკატ სანდრო ბარამიძის განცხადებით, არ არსებობს კანონი, რომელიც პირს ანგარიშიდან საკუთარი თანხის მოხსნას უკრძალავს და, შესაბამისად, კახი კალაძისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ აუდიტის სამსახურის მოთხოვნა უკანონოა.

"არ ვიცი კანონი, რომელიც პირს საკუთარი ფულის ანგარიშიდან მოხსნას უკრძალავს. ასეთი აკრძალვა არ არსებობს. ამასთან, ვერ გამოვიყენებთ ვერავითარ სამართლებრივ გზას იმისთვის, რომ კონტროლის პალატის ეს უკანონო მოთხოვნა სხვა უკანონობაში არ გადაიზარდოს," - განაცხადა ადვოკატმა.

კახი კალაძის ადვოკატ შალვა თადუმაძის თქმით კი, აუდიტის სამსახურს არანაირი უფლება არა აქვს, კალაძეს ანგარიშზე თანხის დაბრუნება მოსთხოვოს.

"აუდიტის სამსახურს უფლება არა აქვს, კახი კალაძეს მსგავსი ოპერაციის შესრულება მოსთხოვოს. გარკვეულწილად, აუდიტის სამსახური კახი კალაძეს აკისრებს მოქმედებას, რომელიც შეუსრულებელია, რადგან კახი კალაძეს ამ ფულის დაბრუნების დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, ფიზიკურად ვერ დააბრუნებს, რადგან მისი ყველა ანგარიში დაყადაღებულია. გარდა ამისა, ის არ არის ვალდებული, თანხა დააბრუნოს და ყადაღაც რომ არ ედოს, არ აპირებს თანხის დაბრუნებას," - განაცხადა News.ge-სთან საუბრისას კალაძის ადვოკატმა.

არასრულწლოვანთა ბუნტი

არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებაში გუშინწინ ინციდენტი მოხდა. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულთა ნაწილმა დღის წესრიგი უხეშად დარღვია, რამაც ინფრასტრუქტურის ნაწილისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანება გამოიწვია.

დისციპლინის უზრუნველყოფისა და შემდგომი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები გადანაწილდნენ სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც მათთვის შექმნილია კანონმდებლობით გათვალისწინებული საცხოვრებელი პირობები. არც ერთ მსჯავრდებულს არ მიუღია ჯანმრთელობის დაზიანება. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება," - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მომხდარი ინციდენტის შესაწავლისთვის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში იმყოფებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები. მათი ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ 122 მსჯავრდებული არასრულწლოვანიდან 60 გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N16 დაწესებულებაში, ხოლო 47 მსჯავრდებული - რუსთავის N17 დაწესებულებაში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი გაესაუბრნენ ადგილზე დარჩენილ არასრულწლოვნებს, დაწესებულების ადმინისტრაციას და დაათვალიერეს საცხოვრებელი კორპუსები. ომბუდსმენის მონიტორინგის ჯგუფის წევრების თქმით, საცხოვრებელი კორპუსები მწყობრიდანაა გამოსული, მათი ფუნქციონირება არ შეიძლება და საჭიროებს გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოინახულეს რუსთავის N16 და N17 დაწესებულებებში გადაყვანილი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. **არასრულწლოვანთა განცხადებით, 8 აგვისტოს ინციდენტი დაკავშირებული იყო გარკვეულ შეზღუდვებთან, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის მანძილზე დაწესდა ადმინისტრაციის მხრიდან. გარდა ამისა, ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის გამო, რაც, მათი გადმოცემით, ბოლო პერიოდში გახშირებულია.**

არასრულწლოვნებს ახალ დაწესებულებაში დაუყოვნებლივ მიეწოდათ ლეიბები, ბალიშები, თეთრეული, პირველადი მოხმარების საგნები და ჰიგიენური ნივთები. ისინი განთავსებისთანავე ინახულეს მიმღები დაწესებულების ექიმებმა. რუსთავის N16 და N17 დაწესებულებებში გადაყვანილი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები განთავსებული არიან სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან განცალკევებით, - ასეთია ომბუდსმენის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი "პუტინის ადვოკატები"

პირველი გვერდიდან

განცხადება ადასტურებს საქართველოს მყარ პოზიციას იმის შესახებ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოქმედებები სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დაგეგმილი ღონისძიება იყო," - აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და დასძენს, რომ პუტინის ეს კომენტარი ასევე ეხმაურება რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის მიერ 2011 წლის ნოემბერში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სამხედრო ჩარევა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგ იყო მიმართული.

"საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა მოსთხოვოს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის გარანტიები და უნდა შექმნას უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე," - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილმა ფოთის ნავსადგურში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდის შემდეგ განაცხადა: "ომის მთავარმა დამნაშავემ ვლადიმირ პუტინმა" სრულიად ნათლად თქვა, და ეს ყველაზე პარადოქსულია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში გეგმავდა და ამზადებდა შეიარაღებულ რაზმებს საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული ტერიტორიის შიგნით, რაც საერთაშორისო აგრესიის კლასიკური სამართლებრივი განმარტებაა.

"ამ დროს არიან ქართველი პოლიტიკოსები, რუსული ფულით დაფინანსებულები, რომლებიც გაურკვევლობას და დაბნეულობას თესავენ ამ ყველაფრის გარშემო. ისინი ერთსა და იმავე იდიოტურ კითხვას სვამენ. იდიოტის გარდა, არავინ დასვამს ამ კითხვას. მინდა, მივმართო ამ ხალხს, ამ კაცს და მის მონებს - თქვენმა პატრონმა პუტინმა დღეს თქვა, რომ მან დაიწყო ეს ომი. ეს დამნაშავის გამოსვლას ჰგავს, რომელიც ამბობს - მე ჩავიდინე დანაშაული და მინდა, მთელმა მსოფლიომ იცოდესო. მისი ადვოკატი კი ამბობს - არა, არა, ეს ის არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთო. ადვოკატი უხერხულ მდგომარეობაშია," - განაცხადა სააკაშვილმა.

8 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საკუთარ თავზე აიღო 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებაზე პასუხისმგებლობა. პუტინმა აღიარა, რომ რუსეთის გენშტაბმა სამხრეთ ოსეთში შეჭრის გეგმა 2006 წლის ბოლოს - 2007 წლის დასაწყისში შეიმუშავა და თავად, როგორც მთავარსარდალმა, დაამტკიცა. პრეზიდენტის თქმით, გეგმის ფარგლებში რუსეთმა ოსი მოხალისეების მომზადება დაიწყო. პუტინი აღიარებს, რომ "ოსი მოხალისეების" მომზადებას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა, მისივე თქმით, გენშტაბის გეგმამ გაამართლა.

უკრაინა ქართული ღვინოების სახელწოდებებს იყენებს

უკრაინულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციის თანახმად, უკრაინული კომპანია "ინკერმანის" ქარხანამ 24 ივლისს რუსეთის სანიტარულ სამსახურში სავაჭრო ნიშნების დარეგისტრირებაზე ცხრა განაცხადი შეიტანა, მათ შორის სამი - ქართული ღვინოების სახელწოდებების გამოყენებით. უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით "საქპატენტი" დაინტერესდა.

"საქპატენტის" ხელმძღვანელის, ირაკლი ღვალაძის განცხადებით, არცერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, იურიდიულად ყურძნის ჯიშის მეპატრონე გახდეს. მისი თქმით, უკრაინული მხარის იდეა კანონდარღვევად არ ჩაითვლება, თუ ადგილი აქვს მხოლოდ მარკეტინგულ გათვლას - ანუ უკრაინაში მოყვანილი საფერავით და რქაწითელით ჩამოსხმულ პროდუქტს ეწოდოს გამოყენებული ყურძნის ჯიშის სახელი. მისივე ცნობით, გადამოწმებული ინფორმაცია "საქპატენტს" მომავალ კვირაში ექნება და მხოლოდ ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე გადაწყდება, რა ნაბიჯებს გადადგამს ქართული მხარე.

"საქპატენტის" დირექტორი ირაკლი ღვალაძე აღნიშნავს, რომ უკრაინულ კომპანია "ინკერმანს" "როსპატენტში" ქართული ღვინის სახეობების დასახელებების გამოყენებით რუსულ ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით განაცხადი მართლაც შეტანილი აქვს და აღნიშნული ინფორმაცია ახლაც გარკვევის, დაზუსტების და გადამოწმების პროცესშია.

"უკრაინულ კომპანიას "როსპატენტში" განაცხადი შეტანილი აქვს. თუმცა, ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია. ჩვენ დაველოდებით. იმ შემთხვევაში, თუ "როსპატენტი" განაცხადს განსახილველად მიიღებს, მაშინ პროცესში ჩავერევით, თუ არ განიხილავენ, რა თქმა უნდა, ჩარევა არ მოხდება," - აღნიშნავს ირაკლი ღვალაძე.

რუსული მედიის ინფორმაციით, ქართული ღვინის სახეობების დასახელების გამოყენებით უკრაინული კომპანია რუსულ ბაზარზე შესვლას გეგმავს. ასე რომ, შესაძლებელია, ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე ყირიმული ბოთლებით დაბრუნდეს. უკრაინული კომპანია "როსპატენტს" სთხოვს, რეგისტრაციაში გაატაროს სავაჭრო ნიშნები: "ინკერმან საფერავი", "ინკერმან რქაწითელი" და "ინკერმან სოვინიონ-რქაწითელი".

"ინკერმანის" გენერალური დირექტორის ანდრეი სტრელეცის განცხადებით, "ქართული ღვინის ჯიშები უკრაინულ ბაზარზე კარგად მუშაობს, ამიტომ კომპანიამ მათი რუსეთში გატანა გადაწყვიტა. ქართული დასახელებით ღვინის რუსულ ბაზარზე შეტანა 2012 წლის ბოლოს ან 2013 წლის დასაწყისში დაიწყება."

მარკეტოლოგები ყირიმელი მწარმოებლების ინიციატივას წარმატებულ სვლად აფასებენ, მით უფრო, რომ იურიდიულად კომპანიისთვის პრეტენზიების წაყენება რთული იქნება, რადგან რეგისტრირებული ნიშანი ყურძნის ჯიშია და არა გეოგრაფიული დასახელება.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს "ინკერმანის" ქარხანა ღვინის უმსხვილესი ექსპორტიორი გახდა.

სახელწოდებაში ქართული ბრენდის არსებობა Inkerman-ს რუსულ ბაზარზე მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას მიანიჭებს, - აცხადებს სააგენტო Kaufman-ის ხელმძღვანელი სტანისლავ კაუფმანი. მისი თქმით, "ამ ღვინოების მიზნობრივი აუდიტორია უფროსი თაობაა, რომელიც დიდად ვერ განასხვავებს ევროპულ სახეობებს, მაგრამ ძალიან ლოიალურია ქართული ღვინოების მიმართ. რუსეთის ფედერაციაში ქართული ღვინის აუდიტორია საკმაოდ დიდია - ემბარგოს გამოცხადებამდე ქვეყანა რუსეთს 3,6 მილიონ დეკალიტრ ღვინოს აწვდიდა."

შეგახსენებთ, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა 2006 წლიდან აიკრძალა, რის ოფიციალურ მიზეზადაც სანიტარული ნორმების დარღვევა დასახელდა. რუსეთის მთავარი სანიტრის, გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ქართველ მწარმოებლებს შეუძლიათ, რუსულ ბაზარზე დაბრუნდნენ, თუ ყველა პროცედურას გაივლიან. რუსული ბაზრის ჩაკეტვის პირველ წლებში ქართულმა მეღვინეობამ დიდად იზარალა, მაგრამ შემდეგ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მოახერხა ვითარების გამოსწორება. ბოლო 2 წელია საქართველოდან ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი მეთოდურად იზრდება. ბოლო მონაცემებით, 2012 წლის I ნახევარში ქართული ღვინის ექსპორტი11,1 პროცენტით გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით, პირველ 6 თვეში უცხოეთის ბაზრებზე 25,561 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ყურძნის ნატურალური ღვინო გავიდა, 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 23,004 მლნ აშშ დოლარის. "საქსტატის" მონაცემებით, რომელიც ქართული ღვინის ექსპორტის 2011 წლის მაჩვენებელს ასახავს, 37.7-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შარშან ქვეყნის ფარგლებს გარეთ 54.1 მილიონი აშშ დოლარის ღვინო გავიდა. ეს ყველაზე მაღალი მონაცემია ბოლო 5 წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც 2006 წელს რუსეთმა ქართული ღვინის იმპორტზე ემბარგო დააწესა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2005 წელს აღინიშნა, როდესაც ექსპორტირებული ღვინის საერთო ღირებულებამ 81 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება შექმნილ ვითარებას, ამჯერად, როგორც "საქპატენტში" აცხადებენ, ქართული მხარე "როსპატენტის" რეაქციას ელოდება.

პრემიერი რომელაშვილების ოჯახს ესტუმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გიორგი და გელა რომელაშვილების ოჯახს ესტუმრნენ. პრემიერ-მინისტრმა დაღუპულთა ოჯახს საქართველოს სახელით მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი ოჯახები ყოველთვის სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ იქნებიან.

პრემიერმა თავდაცვის სამინისტროს ახალ კონცეფციაზეც ისაუბრა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე ტოტალური ზრუნვაა. კონცეფცია 2013 წლიდან შევა ძალაში.

პრემიერმა აღნიშნა, რომ გორში ერთ-ერთ ქუჩას ძმები რომელაშვილების სახელი დაერქმევა.

ლეიტენანტი გიორგი და კაპრალი გელა რომელაშვილები გორის ჯავშანსატანკო ბატალიონში მსახურობდნენ, მათ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი აქვთ მინიჭებული, ასევე მიღებული აქვთ მედლები "სამშობლოსთვის თავდადებული" და "მხედრული მამაცობისთვის".

"დემოკრატიული მოძრაობა" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

"დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, - ამის შესახებ პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

"დღეს ოპოზიციისა და მოსახლეობის დიდი ნაწილს მაინც სჯერა, რომ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას ან კოალიციას შესწევს უნარი, არჩევნებში დაამარცხოს არსებული რეჟიმი. "დემოკრატიული მოძრაობა" ანგარიშს უწევს საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიციას. ჩვენ ამ ეტაპზე უარს ვამბობთ საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე, რათა არ შევუწყოთ ხელი ოპოზიციურ ფლანგზე ერთმანეთისთვის ხმების წართმევას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პარტიული სტრუქტურები და აქტივისტები მზად არიან არჩევნებში მონაწილეობისთვის, პარტიამ მიიღო მძიმე, მაგრამ ამ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - არ მივიღოთ მონაწილეობა 2012 წლის 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში," - აცხადებს ბურჯანაძე და განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ გულისხმობს არჩევნების ბოიკოტს ან "დემოკრატიული მოძრაობის" მიერ ბრძოლის შეწყვეტას.

ნინო ბურჯანაძე საქართველოს ყველა მოქალაქეს მოუწოდებს, 1-ელ ოქტომბერს აუცილებლად მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს არსებული რეჟიმის დამარცხებას, რათა საკუთარი პასიურობით ხელისუფლებას ხმებით მანიპულირების საშუალება არ მისცეს.

ბურჯანაძის განცხადებას პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა კობახიძე გამოეხმაურა.

"ისინი კარგად იაზრებენ იმას, რომ ყველაზე ძლიერი და სოლიდური ძალა გახლავთ კოალიცია "ქართული ოცნება", რომელიც ბლოკად ჩამოყალიბდება და რომელსაც გამარჯვების რეალური შანსი აქვს," - განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდება, კოალიცია კანონის ფარგლებში იბრძოლებს. "ჩვენ საარჩევნო კამპანიის დროს ყველა ზომას მივმართავთ, რათა ხელისუფლებამ ამომრჩევლების ხმების გაყალბება და მოპარვა ვერ გაბედოს," - აღნიშნა კობახიძემ.

ჩიორა თაქთაქიშვილი - "ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერი

დათო გამსონია

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ პარტიის პრესსპიკერად პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი წარადგინა. **"ჩიორა თაქთაქიშვილი 2008-2012 წლის მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი აღმოჩენა იყო. ის იურიდიულ კომიტეტში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად მუშაობდა. ჩიორა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ჩვენი ერთ-ერთი ლიდერია,** - ასე დაახასიათა მაჭავარიანმა თაქთაქიშვილი და ჟურნალისტებს მიმართა, - **მას აბსოლუტურად ზუსტად შეუძლია "ნაციონალური მოძრაობის" ყველა განცხადებისა და მოსაზრების თქვენამდე მოტანა."**

ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ საზოგადოების ინტერესი გაზრდილია. ამიტომ, როგორც თაქთაქიშვილი ამბობს, არჩევნებამდე მედია პარტიის საქმიანობის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციას მიიღებს. **"საზოგადოებას მეტად გავაცნობთ, რას გეგმავს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დასაქმების, ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, სოციალური დახმარების და სოფლის გაძლიერების თვალსაზრისით,"** - დასძინა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ახალმა პრესსპიკერმა პარტიის განახლებული ვებგვერდის (unm.ge) პრეზენტაცია გამართა. **"ვებგვერდი საშუალებას იძლევა, მოქალაქეებმა რეგიონების მიხედვით კონკრეტული ინფორმაცია შეიტყონ იმის შესახებ, თუ რა პროექტები განახორციელა "ნაციონალურმა მოძრაობამ" და რისი გაკეთება იგეგმება იმისთვის, რომ თითეულმა ოჯახმა ქვეყნის განვითარებიდან მეტი სარგებელი მიიღოს,"** - აღნიშნავს თაქთაქიშვილი. გარდა ამისა, მისივე თქმით, ვებგვერდზე გამოქვეყნდება ინფორმაცია ყველა იმ ინდივიდუალური პირის შესახებ, ვინც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ შემოწირულობას შეიტანს.

პრესსპიკერის რანგში ჩიორა თაქთაქიშვილის პირველი პოლიტიკური განცხადება კოალიცია "ქართულ ოცნებას" ეხებოდა. მისი თქმით, 7 და 8 აგვისტო "ნაციონალურმა მოძარობამ" საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის დაღუპულთათვის პატივის მისაგებად გამოიყენა, ხოლო რაც შეეხება "ქართულ ოცნებას", **"სამწუხაროა, რომ "ქართულმა ოცნებამ" საკუთარი პოლიტიკური ინტერესების 2 დღით გვერდზე გადადება და მასზე მაღლა ჩვენი დაღუპული გმირების დაყენება ვერ შეძლო. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივანიჭებდით, რომ არა უარესი ქმედება: 7 და 8 აგვისტოს "ქართული ოცნების" ლიდერებმა პროპაგანდა აწარმოეს. მათ ზუსტად ისე, როგორც რუსული პროპაგანდა იქცევა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე პასუხისმგებლობა საქართველოს და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დააკისრეს. ეს იმ ფონზე ხდებოდა, როცა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც კი აღიარა, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია დიდი ხნით ადრე იგეგმებოდა. ამ საკითხის მიმართ "ქართული ოცნების" დამოკიდებულება ჩვენთვის აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ 7 და 8 აგვისტოს ასეთი პოზიციის ტირაჟირება გმირების ხსოვნის განსაკუთრებული შეურაცხყოფა იყო,"** - განაცხადა თაქთაქიშვილმა.

"ბელარუსის სუკ-ი მძევლებს შვედ პილოტებზე ცვლის"

ირინა გვერდიდან

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ამ ინციდენტმა გამოიწვია არა მხოლოდ გენერლების გათავისუფლება და მინისტრებისთვის საყვედურების გამოცხადება, არამედ დიპლომატიური სკანდალიც და უდანაშაულო ბელარუსების დაკავებაც შვედებისთვის "დახმარების აღმოჩენის" გამო.

ბელარუსის უშიშროებას დაკავებული ჰყავს სტუდენტი და ჟურნალისტი ანტონ სურიაპინი, რომელმაც ამ ქვეყანაში პირველმა განათავსა ინტერნეტში "დათვების დესანტის" სურათები და უძრავი ქონების აგენტი სერგეი ბაშარიმოვი, რომელიც, "სტუდიო ტოტალის" თანამშრომლებს ბელარუსში ბინების დაქირავებაში შეიძლებოდა დახმარებოდა. ირკვევა, რომ შვედებმა ბოლოს ბინის დაქირავება გადაიფიქრეს და შეკვეთა მოკლე ტექსტური შეტყობინებით გააუქმეს. "დათვების დესანტის" აქცია სწორედ ამ სტუდიის მიერ იყო ჩატარებული, ეს მათ თვითონ გადაიღეს და ინტერნეტშიც პირველებმა თვითონ განათავსეს. ბელარუსმა სტუდენტმა მხოლოდ მათი კადრები გამოიყენა მოგვიანებით. "სტუდიო ტოტალის" თანამშრომლები ბელარუსში ლეგალურად იმყოფებოდნენ, საზღვარი უკანონოდ მხოლოდ პილოტებმა დაარღვიეს მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით.

გუშინ "ბი-ბი-სიმ" გამოაქვეყნა ინტერვიუ ერთ-ერთ შვედ პილოტთან. ირკვევა, რომ ამ აქციაზე "სტუდიო ტოტალს", მაღალი რისკის გამო, არც ერთი პროფესიონალი პილოტი არ დათანხმდა. შესაბამისად, "სტუდიო ტოტალის" ორ თანამშრომელს, 22 წლის ჰანა ლინა ფრეის და 40 წლის ტომას მაზეტის სპეციალურად ამ აქციისთვის უსწავლიათ თვითმფრინავის მართვა და შარშან აუღიათ ლიცენზია. მათ ამ მიზნით იყიდეს თვითმფრინავიც. ბელარუსის ტერიტორიაზე კი ერთი ადამიანი გადავიდა კანონიერად, მანქანით. მისი ამოცანა იყო თვითმფრინავის ავარიული დაჯდომის შემთხვევაში მათი "ევაკუაციის" უზრუნველყოფა. პილოტი ადასტურებს, რომ მათ აქციაში ბელარუსის მოქალაქე-ბიდან არავინ მონაწილეობდა.

ბელარუსის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი თავის განცხადებაში შვედებისგან მოითხოვს მინსკში ჩასვლას და ჩვენების მიცემას ეჭვმიტანილების რანგში, მათ შორის, დაპირისპირების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში გამოძიება სურიაპინისა და ბაშარიმოვის გათავისუფლების საკითხს განიხილავს. თუმცა მათი გათავისუფლების პირობას არავინ იძლევა. მათ უკვე წაუყენეს ბრალდება ორი მუხლით: "ხელშეწყობა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში" (ეს მუხლი 7-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს) და "საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა". ეს ბოლო მუხლი განსაკუთრებით აბსურდულად გამოიყურება. რამდენადაც ცნობილია, სურიაპინს და ბაშარიმოვს არანაირი საზღვარი, მით უმეტეს უკანონოდ, არ გადაუკვეთავთ. მათ ბელარუსის უშიშროება უცერემონიოდ იყენებს მძევლებად და შვედებს "ნამუსზე აგდებს". სუკ-ს არ აკმაყოფილებს "სტუდიო ტოტალის" დამფუძნებლის პერ კრომველის მიერ ივლისის შუა რიცხვებში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მათ აქციაში ბელარუსის არცერთი მოქალაქე არ მონაწილეობდა. თავის დროზე კრომველმა გამოთქვა მზადყოფნა, ჩვენების მისაცემად მინსკში ჩასულიყო, თუმცა ამ სიტუაციაში მას შეიძლება საკუთარმა ადვოკატებმა ამ ნაბიჯის გადადგმა არ ურჩიონ.

გუშინ ინტერვიუში ჰანა ლინა ფრეიმ დაადასტურა, რომ დაკავებულებისთვის დახმარების განევის მიზნით ისინი მზად არიან, ჩავიდნენ მინსკში და მისცენ ჩვენება, ოღონდ ამისთვის სჭირდებათ ოფიციალური მოწვევა და იმუნიტეტი, ანუ გარანტია, რომ მათ არ დააპატიმრებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბელარუსს ამ შემთხვევებისთვის ჩვეულებრივი საერთაშორისო პრაქტიკა არ გამოუყენებია. "სტუდიო ტოტალის" თანამშრომლებმა ბელარუსელ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მათ არანაირი მიწვევა პირადად არ მიუღიათ. მიწვევის შემთხვევაში კი მინსკში ჩასვლას არ გამორიცხავენ. ბელარუსის სამართალდამცავ სტრუქტურებს არც შვედეთის პროკურატურისთვის მიუმართავთ, რომ ამ უკანასკნელებს დაეკითხათ საკუთარი მოქალაქეები, ისე, რომ ისინი ბელარუსის ციხეში მოხვედრისთვის არ გაეწირათ.,

პარალელურად, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური სკანდალიც მწვავდება. სამი დღის წინ ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვედეთის ელჩს სტეფან ერიკსონს აკრედიტაცია არ გაუგრძელა. პასუხად შვედეთის დიპლომატიურმა უწყებამ განაცხადა, რომ არ სურთ ქვეყანაში იხილონ ბელარუსის ახალდანიშნული ელჩი. შვედებმა კიდევ ორ დიპლომატს ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს. მაშინ არ იყო ინფორმაცია, რომ სხვა ორი დიპლომატის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაც საპასუხო ნაბიჯი იყო. ბელარუსმა, ერიქსონის გარდა, ქვეყნიდან კიდევ ორი დიპლომატი დაითხოვა. გუშინ მინსკმა სტოკჰოლმიდან გამოიწვია თითქმის მთელი საელჩო (იქ მხოლოდ ორი დაბალი რანგის დიპლომატი დარჩა) და იგივეს გაკეთება შესთავაზა შვედეთის სამეფოს. თუმცა ეს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას არ ნიშნავს.

ლუკაშენკოს რეჟიმს კი რბილ სათამაშო დათვებზე საერთოდ ალერგია დაემართა. ოთხშაბათს მინსკში ორი ჟურნალისტი - გაზეთის "კომსომოლსკაია პრავდა ბელარუსში" ჟურნალისტი ირინა კოზლიკი და გაზეთ "ნაშა ნივას" ფოტოკორესპონდენტი იულია დოროშკევიჩი სათამაშო დათვთან ერთად ფოტოგრაფირებისთვის დააკავეს. მათ ღამე მილიციის განყოფილებაში გაატარეს ხოლო გუშინ ისინი გაასამართლეს "ქუჩის აქციების ჩატარების წესების დარღვევისთვის" და ადმინისტრაციულ კანონდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური ჯარიმა - 3 მილიონი ბელარუსული რუბლი დააკისრეს. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ჟურნალისტებმა "არასანქცირებული ფლეშმობი" ჩაატარეს დაკავებულების - სურიაპინის და ბაშარიმოვის მიმართ სოლიდარობის ნიშნად. სასამართლომ არ გაითვალისწინა მათი ადვოკატის არგუმენტი, რომ ქუჩაში სათამაშო დათვით ყოფნა არ შეიძლება განვიხილოთ პიკეტად, ჟურნალისტები არანაირ ლოზუნგებს არ ყვიროდნენ და, შესაბამისად, მათ მოქმედებებში დანაშაული არ იკვეთება.

ასადის შემჭიდროვებული წრე

ხათუნა გაბიევი

ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს უკვე ვეღარც საკადრო გადაადგილებები შველის. პრეზიდენტს ერთმანეთის თანმიმდევრობით სულ უფრო მეტი დაახლოებული პირი ტოვებს. სირიის პრეზიდენტმა დანიშნა თუ არა ახალი პრემიერ-მინისტრი გაქცეული რიად ფარიდ ჰიჯაბის ადგილზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გაექცა. სირიის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი წარსულში ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელი იყო.

ვაელ ნადირ ალ-ჰალაკის პრემიერად დანიშვნის შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე მალევე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ამბოხებულების მხარეს გადავიდა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მუჰიდინ ალ-მასლამანია. ამის შესახებ ცნობები არაბულმა ტელეარხმა "ალ არაბიამ" გაავრცელა «სირიის თავისუფალი არმიის" წყაროზე დაყრდნობით. ამბოხებულთა წარმომადგენლის თქმით, ალ-მასლამანია უსაფრთხო ადგილზე იმყოფება სირიაში და უახლოეს მომავალში მას მრავალი მაღალჩინოსანი მიბაძავს.

ქვეყნის მსხვილ ქალაქებში კი შეტაკებები და სისხლისღვრა გრძელდება. დამასკოს, ჰომსისა და ალეპოს შემდეგ საარტილერიო ცეცხლი ასადის არმიამ ამბოხებულებს უკვე დერააზიც გაუხსნა. სპორადულ ბრძოლებს ნაღმების აფეთქებაც დაემატა. აფეთქება სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობისას მოხდა.

დამასკოში კი სამთავრობო ტელეარხებისა და ბეჭდური მედიის ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს, სადაც ამბოხებულთა მოქმედებები დაგმეს. **"თავდასხმები ჩვენ მუშაობაში ხელს ვერ შეგვიშლის, პირიქით ჩვენ მორალურ განწყობას აამაღლებს"**, - განაცხადა სირიის რადიოსა და ტელევიზიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რამეზ ტორომანმა.

საერთაშორისო თანამეგობრობის დღემდე უშედეგო მცდელობის ფონზე - დაარეგულირონ სირიის კონფლიქტი, სამოქალაქო ომის შეწყვეტისთვის შუამავლობის ინიციატივით უკვე ირანი გამოვიდა. თეირანში ექსპერტების შემადგენლობით მრგვალი მაგიდის ორგანიზებაც მოხერხდა. ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, სირიაში ყოფილი მედიატორის კოფი ანანის გეგმას კიდევ ერთხელ განიხილავენ.

ვიდრე ირანში კონსულტაციებისთვის ემზადებოდნენ, ასადის მომხრეები ალეპოს სამხრეთ-დასავლეთ კვარტალზე კონტროლის მოპოვებისთვის აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე გადავიდნენ. ადამიანის უფლებათა დამცველების შეფასებით, ალეპოს შეტაკებები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. ოპერაციაში დაახლოებით 20 ათასი ჯარისკაცია ჩართული. განადგურებულია სკოლებისა და ბაღების შენობები, რომლებსაც თავს ამბოხებულები აფარებდნენ. კვლავინდებურად გადაკეტილია საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალი გზა. აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს ჰომსის მახლობლად დეირ აზ-ზორშიც, რომელიც ქვეყნის ნავთობისა და გაზის სამრეწველო ცენტრია. ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ცენტრების გარდა, ძალადობა გავრცელდა დღემდე შედარებით უსაფრთხო არეალებშიც, კერძოდ, შეტაკებებია ზაბადანის საკურორტო რაიონშიც. ამბოხებულები ცდილობენ ლათაყიის საპორტო ქალაქიდან ალეპომდე გზის გადაკეტვასაც. სირიის მსხვილ ქალაქებში გასული დღე-ღამის განმავლობაში შეტაკებებს 170-მდე პირი ემსხვერპლა.

იულია ტიმოშენკოს ახალ ბრალდებებს წაუყენებენ



მრავალრიცხოვან ბრალდებებს, რომლებსაც პროკურატურა უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს უახლოეს მომავალში წაუყენებს, კიდევ ორი ბრალდება ემატება. ეს არის პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი ისეთი დანაშაულებები, როგორიც არის სხეულის დაზიანება და მკვლელობის ორგანიზებაში თანამონაწილეობა.

უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის რენატ კუზმინის განცხადებით, ამჟამად ძიებაშია ყოფილი პრემიერის მიერ მორიგე ოფიცრის ცემის საქმე კიევის საგამოძიებო იზოლატორში, სადაც ტიმოშენკო და მისი მხარდამჭერები შეავარდნენ 2003 წელს. გარდა ამისა, ტიმოშენკოს წაუყენებენ ბრალს დეპუტატ ევგენი შჩერბანის მკვლელობაში თანამონაწილეობის თაობაზე. მკვლელობა 1996 წელს მოხდა.

«24 საათის» მკითხველისთვის ცნობილია, რომ მარტში სასამართლოს გადაეცა ტიმოშენკოს მეორე საქმე. ყოფილი პრემიერი ეჭვმიტანილია ფინანსურ მაქინაციებში, რომლის შედეგადაც კომპანიას «უკრაინის ერთიანი ენერგეტიკული სისტემები» დაედო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ვალი, 400 მილიონი დოლარის ოდენობით.

იულია ტიმოშენკოს უკვე წაუყენეს შემდეგი ბრალდებები: ბიუჯეტის თანხების მოპარვის ორგანიზება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონი გრივნის (3 მილიონ დოლარზე მეტი) მოპარვის მცდელობა, გადასახადებისგან თავის არიდება, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 4 მილიონ გრივნს (500 ათასი დოლარი). გამოძიების თქმით, ის იყენებდა უცხოური კომპანიის პლასტიკურ ბარათს, რომლის ანგარიშიდანაც მან მოხსნა ერთი მილიონი დოლარი საკუთარი "მდიდრული ცხოვრებისთვის".

იულია ტიმოშენკოს ბრალად ედება უფლებამოსილების გადაჭარბება, ხელისუფლების გარანტიით სასწრაფო დახმარების მანქანების ყიდვისა და მათი უკრაინის ტერიტორიაზე შემოყვანის დროს, აგრეთვე, იმ სახსრების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, რომელიც ქვეყანამ კიოტოს პროტოკოლის ფარგლებში მიიღო.

«არსებობს სხვა საქმეებიც. ისინიც გამოძიების პროცესშია. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არც ერთი საქმე გამოუძიებელი არ დაგვრჩება. თითოეული დასრულდება ნორმატიულ პერიოდში და გაეგზავნება სასამართლოს," - განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

გასული წლის დეკემბერში კუზმინმა საგამოძიებო იზოლატორში მომხდარი ჩხუბის თაობაზე განცხადება გააკეთა. მისი სიტყვებით, 2003 წელს ტიმოშენკო, სახალხო დეპუტატებთან ერთად, კიევის წინასწარი დაკავების იზოლატორში შევარდა. პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, ტიმოშენკო არა თუ ხელს უშლიდა განყოფილების მუშაობას, არამედ ემუქრებოდა მის თანამშრომლებს, ერთ-ერთ მათგანს - ოფიცერს თავად მიაყენა სხეულის დაზიანება.

ამასთან ერთად, სამართალდამცავ ორგანოებს საკმარისი საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ ტიმოშენკო მონაწილეობდა 1996 წელს დეპუტატ ევგენი შერბანის მკვლელობაში. გენერალური პროკურორის მოადგილის განცხადებით, საქმე მხოლოდ ტიმოშენკოს არ ეხება. მკვლელობის შემსრულებლების საქმე უკვე დიდი ხნის გამოძიებული და სასამართლოსთვის გადაცემულია. ზოგი მკვლელი ცოცხალი აღარც არის.

შერბანის მკვლელობაში ტიმოშენკოს თანამონაწილეობაზე ადრე უკვე საუბრობდა ქვეყნის პრეზინდეტი ვიქტორ იანუკოვიჩი. მისი განცხადებით, ტიმოშენკოს თანამონაწილეობით არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა. «ეს არავისთვის არის საიდუმლო. ეს ყველაფერი იყო. მათ შორის, შერბენის მკვლელობა." - განაცხადა მან.

რენატ კუზმინის განცხადებით, ტიმოშენკოს ბრალს მაშინვე წაუყენებენ, როდესაც მისი ექიმები იტყვიან, რომ ის ამისთვის მზად არის. «როგორც გერმანელმა ექიმებმა განაცხადეს, მან სტრესისგან უნდა დაისვენოს 8 კვირის განმავლობაში და ველოდებით, როდესაც ეს პერიოდი დასრულდება," - თქვა მან. მისი სიტყვებით, ტიმოშენკოსთვის ბრალის წასაყენებლად ყველაფერი მზად არის. ჟურნალისტების გამოთვლით, ეს რვა კვირა სექტემბრის ბოლოს იწურება.

2011 წლის 11 ოქტომბერს კიევის სასამართლომ ტიმოშენკოს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა უფლებამოსილების გადამეტების გამო, როდესაც მან 2009 წელს რუსეთთან ხელი მოაწერა გაზის კონტრაქტს. 5 აგვისტოს ის სასამართლო პროცესზე დააკავეს და კიევის იზოლატორში გადაიყვანეს. 2011 წლის ბოლოს ის გადაიყვანეს ხარკოვში, კაჩანოვის გამოსასწორებელ კოლონიაში. 2012 წლის 27 აპრილს მედიამ გაავრცელა ორი დღით ადრე გადაღებული სურათები, რომელზეც ტიმოშენკოს დაზიანებული სხეული იყო აღბეჭდილი. ტიმოშენკოს მტკიცებით, სხეულის დაზიანებები მას კოლონიის თანამშრომლებმა მიაყენეს, რომლებიც საავადმყოფოში მის იძულებით გადაყვანას ცდილობდნენ. სასამართლოს ექსპერტებმა განაცხადეს, რომ იმ ორი შრამის წარმომავლობის გარკვევა, რომელიც ტიმოშენკოს სხეულზე ჰქონდა, შეუძლებელი იყო. ამიტომ ტიმოშენკოს გამოძიებაზე უარი უთხრეს.

ადვოკატებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ამის შესახებ მათ განცხადება ჯერ კიდევ მაშინ გააკეთეს, როდესაც ის კიევის იზოლატორში იმყოფებოდა. ადვოკატები მისთვის დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვევის ჩატარებას ითხოვდნენ, რადგანაც მათი კლიენტი უკრაინელ ექიმებს არ ენდობა. 2012 წლის დასაწყისში მოხდა შეთანხმება, რომ პატიმარს გერმანელი ექიმები უმკურნალებენ. ის გადაიყვანეს ხარკოვის ცენტრალურ კლინიკაში, სადაც დღემდე იმყოფება.

მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

ლუისის ლინკოლნი

აბრაამ ლინკოლნის ბიოპოკი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოვა

ია ვეკუა

შარშან ზამთარში, როდესაც ინტერნეტში პირველად გამოჩნდა მერილ სტრიპის ფოტო მარგარეტ ტეტჩერის იმიჯით, ბევრისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეს როლი მსახიობისთვის მორიგი დიდი წარმატების მომტანი იქნებოდა. იგივე აზრი გაჩნდა მას შემდეგაც, რაც იმავე ინტერნეტში აბრაამ ლინკოლნის როლმორგებული დენიელ დეი ლუისის ფოტო გავრცელდა. თუ ფოტოს კარგად დააკვირდებით, აუცილებლად იგრძნობთ დიდი მსახიობის ოსტატობას, რომელიც ამერიკის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნების ეკრანზე გასაცოცხლებლად ემზადება.

უფრო სწორად, უკვე აცოცხლებს, რადგან ლინკოლნის შესახებ "ლინკოლნის" გადაღება დაწყებულიცაა და პოსტპროდუქციის პერიოდსაც მიუახლოვდა. მეტიც, დანიშნულია პრემიერის თარიღიც - 2012 წლის 16 ნოემბერი. სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფილმის რეჟისორმა, რომელსაც არ სურდა მისი ნამუშევარი ამერიკელ საზოგადოებას ნოემბრის დასაწყისში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაეკავშირებინა და მათ არჩევანზე გარკვეული გავლენა ჰქონოდა.

რეჟისორი კი არც მეტი, არც ნაკლები თვით სტივენ სპილბერგია, რომელიც ამ პროექტისთვის საკმაოდ დიდხანს, შორეული 2005 წლიდან, ემზადებოდა: ტონი კუშნერთან ერთად დიდხანს მუშაობდა სცენარზე, შემდეგ კი დენიელ დეი ლუისის გრაფიკში თავისუფალ დროს დაელოდა, რადგან პროექტის დაწყებისთანავე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ლინკოლნის როლს ამ მსახიობის გარდა აღარავის შესთავაზებდა. მანამდე კი სხვა კანდიდატურა ჰყავდა - ლიამ ნისონი, რომელმაც პროექტი იმის გამო დატოვა, რომ ასაკით არ შეეფერებოდა 50-ს გადაცილებულ პრეზიდენტს. ნისონი ოდნავ პატარა რომ ყოფილიყო, მისი და სპილბერგის თანამშრომლობა "შინდლერის სიის" შემდეგ მეორედ შედგებოდა.

ზოგადად სპილბერგი არ გახლავთ რეჟისორი, რომელსაც ბიოპიკების გადაღება ხიბლავს, ურჩევნია პერსონაჟი და მისი ისტორიაც თავად შექმნას, ამიტომ მის ფილმოგრაფიაში ძალიან ცოტაა ფილმი, რომლის გმირიც რეალურად არსებობდა. მათ შორისაა უკვე ნახსენები "შინდლერის სია", თუმცა ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული რამდენიმე ფილმი მაინც აქვს - "მიუნხენი", "დამიჭირე თუ შეგიძლია" და "ტერმინალი". რეალურად მომხდარ ამბავს ეხმიანება მისი "ამისტადი" და "რიგითი რაიანის გადარჩენაც", თუმცა აქ ისტორიული ფაქტები მხოლოდ ფონი გახლავთ. რომანების ეკრანიზაციაა მისი "მეწამული", "განსხვავებული აზრი", "სამყაროთა ომი" და "მზის იმპერია", ხოლო "ტენტენის თავგადასავალი" მისი ერთადერთი ანიმაციური და, ამავდროულად, კომიქსის ეკრანიზაცია გახლავთ.

"ლინკოლნს" საფუძვლად უდევს ისტორიკოს დორის კირნს გუდვინის მიერ 2005 წელს გამოცემული წიგნი "მეტოქეთა გუნდი: აბრაამ ლინკოლნის პოლიტიკური გენია" (Team of Rivals: The Political Genius of Abraham Lincoln), რომლის ეკრანიზების უფლებაც წინდახედულმა სპილბერგმა მაშინვე შეიძინა. მეტიც, სპილბერგმა გუდვინი ჯერ კიდევ მაშინ შეიპირა, ვიდრე ეს უკანასკნელი წერას დაიწყებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ლინკოლნი" რეჟისორისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, ამრიგად შედეგიც ღირსეული იქნება. წიგნი არა მხოლოდ ლინკოლნის ბიოგრაფულ ფაქტებს აღწერს, არამედ მისი პრეზიდენტობის პერიპეტიებსაც გვაცნობს. წიგნი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლინკოლნი ტყუილად არ გახლავთ დასახელებული ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს პრეზიდენტად, რადგან აქ ისტორიულად დადასტურებული ფაქტების მეშვეობითაა მოთხრობილი მისი პოლიტიკური ბრძოლის, მეტოქეებთან ურთიერთობისა და ქვეყნისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მას შემდეგ რაც, აღნიშნული ფოტო გამოჩნდა, დაიწყეს საუბარი იმაზეც, რომ დენიელ დეი ლუისი ამ როლით საკმაოდ ბევრი კინოჯილდოს მოპოვებას შეძლებს. მეტიც, გამორიცხული არაა, მისი ლინკოლნი წლის როლიც გახდეს, რაც ბრიტანელი მსახიობის აქტივში მესამე "ოსკარს" ნიშნავს. ჯერჯერობით "ოსკარზე" საუბარი ძალიან ნაადრევია, თუმცა კინომიმომხილველები მაინც ბედავენ გარკვეული ვარაუდების გამოთქმას და ამბობენ, რომ ამჟამინდელი მონაცემებით ერთადერთი, ვინც ლუისისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებს, ეს ხოაკინ ფენიქსია ფილმით "ოსტატი". საინტერესოა, რომ ამ ფილმის რეჟისორი პოლ ტომას ანდერსონი გახლავთ ანუ სწორედ ის, ვის ფილმში "და იქნება სისხლი" მთავარი როლის შესრულებისთვის დენიელ დეი ლუისმა ჯერჯერობით თავისი ბოლო "ოსკარი" მიიღო...

ახალი წიგნი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესახებ

სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ეზოში, ანდრო კაჭარავასა და ალექსანდრე დაუშვილის წიგნის "საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა - ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის" პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნის დაწერის იდეა ამერიკაში მოღვაწე ექიმს ანდრო კაჭარავას ეკუთვნის და იგი თავისუფალი საქართველოს ისტორიას ეძღვნება.

ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე დაუშვილის თანაავტორობით, ნაშრომში ასახულია საქართველოს ისტორიის მეტად რთული პერიოდი, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავისუფალი საქართველოს საგარეო პოლიტიკას - დამოკიდებულებას თურქეთთან, გერმანიასთან, რუსეთთან და "ანტანტის" ქვეყნებთან. კარგადაა ნაჩვენები, თუ რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი საქართველო რუსეთის რევოლუციის შემდეგ პერიოდში.

ნაშრომში, პოპულარულ ენაზე, თხრობის მარტივი სტილით გადმოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის, მისი პოლიტიკური განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის საინტერესო და დრამატული ისტორია.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის და ეძღვნება ყველა იმ მამულიშვილის ხსოვნას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა.

"24 საათის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება,
გელა თევზაძის გარდაცვალების შესახებ.

მეცნიერი - გენეტიკური და მოლეკულური ბიოლოგიის მკვლევარი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის დოქტორი, სხვდასხვა დროს მუშაობდა ჟენევის, ჩიკაგოსა და აშშ-ს სხვა უნივერსიტეტებში. ბოლო წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. გახლდათ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი. პედაგოგიური მუშაობის გარდა, ბოლო დროს მუშაობდა ბიოლოგიური ლაბორატორიის შექმნის პროექტზე.

გელა თევზაძე 2010 წლიდან სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს "24 საათისა" და WEEKEND-ის მეცნიერების დამატებაში და თავად გახლდათ აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი.

იგი გამოირჩეოდა არა მხოლოდ უსაზღვრო ერუდიციით, არამედ განსაკუთრებული ადამიანური თვისებებითაც. რის გამოც მას მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება.

გელა თევზაძე უბედური შემთხვევის გამო, ძალიან ახალგაზრდა, 46 წლის ასაკში საყვარელ გურიაში, საკუთარ სოფელში გარდაიცვალა.

"24 საათის" რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

10 აგვისტო

კინო

"ტედი"
რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"
რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა
მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

რევაზ ჩომახიძე: "მომავალ ოლიმპიადაზე უნდა ვიყოთ"

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

წყალბურთში მსოფლიო ჩემპიონ რევაზ ჩომახიძეს ქართულ სახლში შევხვდი. ქართული სახლი, რომლის დიასახლისი ოლიმპიური ჩემპიონი, ქალბატონი ნანა ალექსანდრიაა, ის ადგილია, რომელიც ლონდონში საქართველოს წარმოადგენს. აქ იმართება შეხვედრები დიპლომატებთან, სხვადასხვა დელეგაციის წევრებთან, სპორტსმენებთან, ქართველ ემიგრანტებთან. მოკლედ, ქართულ სახლს ლონდონში სერიოზული დატვირთვა აქვს.

რეზო ჩომახიძე, ასე ვთქვათ, ქართული სახლის მამასახლისია. ის ამზადებს სახლს შეხვედრებისთვის. რეზო ამჟამად ოჯახთან ერთად საგურამოში ცხოვრობს და თავის დიდ გამოცდილებას "ოლიმპიკის" ახალ აუზში მომავალ თაობებს ახმარს. ჩვენ სწორედ ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრისას ვისაუბრეთ.

სერბეთის ერთ-ერთი ლიდერი ანდრია პრლაინოვიჩი

- რთული გრაფიკი გაქვთ ქართულ სახლში?

- საკმაოდ. აქ იყო შეხვედრები, როცა ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. გვერდს ვერ აუქცევდი. ვხვდებით სხვადასხვა დელეგაციის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, სპორტსმენებს.

- ეს რა ღვინოა? კარგი გემო აქვს.

- ღვინოები საქართველოდან ჩამოვიტანეთ. გვაქვს "შატო მუხრანი", "წინანდალი", "საფერავი". მართლა გემრიელია. მუხრანის ღვინო ევროპულად არის დაყენებული. წინანდალიც. საფერავი რაც არის, კარგად მოგეხსენება.

- სამი მედალი მოვიგეთ. ოლიმპიადებზე ყოველთვის ვიგებთ რამდენიმე მედალს, მაგრამ საწყენია, ბურთი სადაც ფიგურირებს, არც ერთ სახეობაში გუნდი არ გვყავს.

- მომავალ ოლიმპიადაზე გვეყოლება. ახლა ვმუშაობთ, რომ წყალბურთში შევქმნათ ისეთი გუნდი, რომელიც ოლიმპიური თამაშების საგზურს მოიპოვებს.

- განა ასეთი თაობა მოდის?

- თაობა კარგი მოდის, მაგრამ ამჯერად გუნდს ლეგიონერებით შევავსებთ. საუბარია ძლიერ წყალბურთელებზე, ვისაც რეალურად შეუძლია ოლიმპიური საგზურებისთვის ბრძოლა.

- ჩვენ გვყავდა ხორვატი ლეგიონერები. გუნდმა შესარჩევ ეტაპზე ბრიტანეთს სძლია, მაგრამ მეტი ვეღარ მოახერხა.

- ამჯერად უფრო ძლიერი წყალბურთელები გვეყოლება.

- ჩვენი, ქართველი წყალბურთელები ითამაშებენ ნაკრებში?

- უკვე ვთქვი, რომ კარგი თაობა მოდის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ იქიდან ყველა წყალბურთელი ვერ გამოვა. შეიძლება თითო ასაკიდან ერთი-ორი პერსპექტიული მოთამაშე გამოვიდეს. მათ აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას და გავზრდით ნაკრებისთვის, მაგრამ ამას წლები სჭირდება, რომ ქართველი წყალბურთელებისგან ძლიერი გუნდი შევკრათ. ამიტომ მომავალი ოლიმპიადისთვის ძირითადად ლეგიონერებისგან დაკომპლექტებული გუნდი იბრძოლებს საგზურისთვის.

- გასულ წლებშიც ამბობდნენ, რომ კარგი თაობა მოდის. ბელორუსის ნაკრებს მოვუგეთ, რუსეთის ჩემპიონატში ჩვენმა ახალგაზრდებმა მეორე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ეს თაობა სადღაც გაქრა. რატომ ვერ გაიზარდა, როგორ ფიქრობ?

- ჩემი აზრით, მთავარია ინფრასტრუქტურის განვითარება. საწყლოსნო სახეობები ქვეყანაში უფრო პოპულარული უნდა გახდეს და ბავშვებს მიეცეთ საშუალება, რამდენ ხანსაც საჭიროდ ჩათვლიან, იმდენ ხანს ივარჯიშონ. მაშინ გაიზრდებიან.

- რუსეთის ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატი რომ მოიგე, მაშინ ფეხბურთში რივალდოს ხანა იდგა. წყალბურთის რივალდოაო, ამბობდნენ შენზე. იმ განუკითხაობის პერიოდში, როცა წყალბურთის თამაში დაიწყე, გქონდა ინფრასტრუქტურა? შენ როგორ გაიზარდე, როგორც წყალბურთელი?

- მე ქუთაისში ვვარჯიშობდი და იყო საშუალება, დღეში რამდენი საათიც მინდოდა, იმდენი მევარჯიშა. ჩემმა მწვრთნელმა, ავად თუ კარგად, იმდენი მოახერხა, რომ წყალბურთის თამაში დავიწყე. შემდეგ საქართველოს ნაკრებში ვითამაშე ევროპის ჩემპიონატი. წარმოიდგინე, ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდა. და გადავედი იტალიაში. კარიერა იქ გავაგრძელე და იქიდან აღმოვჩნდი რუსეთის ნაკრებში.

- იტალიის ნაკრებში თამაში არ გერჩივნა, თუ რუსეთი უფრო ძლიერი იყო?

- დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები იყვნენ, მაგრამ რა მოთხოვნებიც მქონდა, რუსეთში ყველაფერზე დამთანხმდნენ. ბინა, ხელფასი და, რაც მთავარია, ავუხსენი, რომ ნაკრებში თამაში მინდოდა და ამაზეც წამოვიდნენ.

- ალბათ, თვალს ადევნებ წყალბურთელთა ტურნირს. შენს შემდეგ რუსეთის ნაკრები ისეთი ვეღარ არის.

- საერთოდ ვერ მოხვდნენ ოლიმპიურ თამაშებზე და ნირწამხდრები არიან. არადა, ყველა რესურსიც აქვთ და ინფრასტრუქტურაც.

- ფავორიტად ვის თვლი ამ ოლიმპიურ თამაშებზე?

- ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება სერბებმა დატოვეს. ალბათ, სერბები იქნებიან მთავარი ფავორიტები.

ახალი "დინამო"

ბუბა ტყავაძე და დარკო გლიშიჩი

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის 2012-2013 წლების სეზონი იწყება. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი «დინამო» ახალ სეზონს ახალი იმედებით, ახალი მთავარი მწვრთნელით და რამდენიმე ახალწვეული ფეხბურთელით ხვდება. გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა სანდრო შახოვმა, სპორტულმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ, მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან ღვინიანიძემ და კლუბის პრეს-ატაშე გიგა გვენცაძემ ჟურნალისტებს უმასპინძლეს და კლუბში მომხდარ სიახლეებზე ამომწურავად ისაუბრეს.

სანდრო შახოვი: "ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო ახალი ლოგოს პრეზენტაცია და ახალწვეულების წარდგენა. "დინამოში" დიდი ცვლილებები განხორციელდა. მთლიანად გარემონტდა და კეთილმოეწყო საწვრთნელი ბაზა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა "დინამო არენას", მალე დასრულდება "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა".

შახოვის გამოსვლის შემდეგ, "დინამომ" გუნდის ახალწვეულებს მაისურები გადასცა. 33 წლის გივი კვარაცხელია, რომელიც კლუბში მესამედ დაბრუნდა, 6-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. 20 წლის მაკედონიელ დარკო გლიშიჩს 32 ნომერი ერგო. 27 წლის გიორგი სეთურიძე 7 ნომრით იასპარეზებს, ხოლო 29 წლის ესტონელი ფორვარდი ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი 27-ნომრიან მაისურას მოირგებს.

ბუბა ტყავაძე: "სეზონის დაწყების წინ ვფიქრობდით, რომ საჭირო იყო გუნდის გაძლიერება. თუმცა, იმ ფეხბურთელებს, ვინც გუნდში იყვნენ, შესწევთ კარგ დონეზე თამაში. საჭიროა საბრძოლო სულისკვეთება, მონდომება, რწმენა. გუნდის ძირითადი ბირთვი დაკომპლექტებულია, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა.

- "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელის დუშან უჰრინის მუშაობით კმაყოფილი ხართ?

ტყავაძე: "დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. ვარჯიშებზე გუნდს ეტყობოდა, რომ ბოლომდე იხარჯებოდა. მუშაობის შედეგი ბოლოს გამოჩნდება. მწვრთნელს გვერდით უნდა დავუდგეთ და ხელი ყველანაირად შევუწყოთ".

-"დინამოში" ისინჯებოდა კოტდივუარელი ლეგიონერი კონე. დარჩება თუ არა ის გუნდში?

ტყავაძე: "კონეს გარდა, რამდენიმე ფეხბურთელს ვსინჯავდით. კონეზე დაკვირვებას ვაგრძელებთ და მას შეუძლია გუნდს გამოადგეს".

ლევან ღვინიანიძე: "დინამოელები ახალ სეზონში ახალი ეკიპირებით და ახალი სათამაშო ფორმით იასპარეზებენ. "დინამო" NIKE-ის ფორმით შეიმოსება.

რებრენდინგის პროცესი "დინამოში" წინა წელს დაიწყო. "დინამოსთვის" ახალი იმიჯის შექმნაზე მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა სააგენტომ - "ინტერბრენდმა" იზრუნა. "ინტერბრენდი" საფეხბურთო სამყაროში ცნობილი კომპანიაა.

შვეიცარიულმა კომპანიამ შეისწავლა როგორც გუნდის, ასევე ქალაქის ისტორია და ფასეულობები. შედეგად, შეიქმნა იმიჯი, რომელიც "დინამოს" მომავლის სიმბოლოდ იქცევა

ბუნებრივია, უცვლელია ძირითადი სათამაშო ფერები - ლურჯი და თეთრი; ხოლო მესამე, ნეიტრალური ფორმა წითელი იქნება.".

"დინამოს" ახალწვეულმა, 29 წლის ესტონეთის ნაკრების ფორვარდმა **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვმა**, რომელიც ბოლოს რუსული "ხიმკის" შემადგენლობაში თამაშობდა, განაცხადა, რომ "დინამოში" ჩამოსვლა კლუბის სახელმა გადაანყვეტინა:

"რამ გადამაწყვეტინა "დინამოში" ჩამოსვლა? კლუბის სახელმა. მქონდა სხვა ვარიანტები, მაგრამ "დინამოში" თამაშის პერსპექტივამ გადამაფიქრებინა. თბილისში, ივლისის დასაწყისში ჩამოვედი და პირველი შთაბეჭდილება საუკეთესო იყო. იმაზე უკეთესი, ვიდრე ვიფიქრებდი. როგორ მოვემზადე მომავალი სეზონისთვის, თამაშები აჩვენებს. საწვრთნელი მატჩები ერთია, ხოლო ოფიციალური სულ სხვაა".

"დილას" სამბურთიანი სასწაული და გამხეცებული კვიპროსელები

სოსო კოტორეიშვილი

მატჩი შეწყდა - ასე წერია უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მატჩის მსვლელობა როგორ შეწყდა, ალბათ ნახევარმა საქართველომ ნახა - 84-ე წუთზე გაავებული კვიპროსელი გულშემატკივრების აგრესიული და ხულიგნური საქციელის გამო. რამ გადარია ეს ხალხი ესეც ვნახეთ - გორის «დილამ» მართლაც სასწაული მოახდინა, ერთი კვირის წინ შინ 0:1 წაგებული მატჩის მერე ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა, ალბათ ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო, თუმცა შესაძლებელი კი ყოფილა - გორელებმა მართლაც სანიმუშო შეხვედრა ჩაატარეს, უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს «ანორთოსისს» და პლე ოფში გაიკვლიეს გზა.

ძნელი გასახსენებელია, ქართულმა კლუბმა ასეთი «გმირობა» როდის ჩაიდანა. კვიპროსელთა ებრაელი მწვრთნელი რონი ლევი და მისი შეგირდები ალბათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საპასუხო შეხვედრაში «დილას» იოლად გაუსწორდებოდნენ, მაგრამ თემურ შალამბერიძემ სწორი სტრატეგიითა და ტაქტიკით თავიდანვე პრობლემები შეუქმნა მასპინძლებს.

მართალია პირველ ტაიმში კვიპროსელები მცირე უპირატესობას ფლობდნენ და რამდენჯერმე გორელთა კარსაც დაუმიზნეს, თუმცა ქართლელთა მეკარე მეტად დამაჯერებელი და საიმედო იყო.

მეორე ნახევარმა მთლიანად სტუმართა უპირატესობით ჩაიარა - ნახევარდაცვამ გამართულად და რაც მთავარია და ბურთის ფლობაში აჯობა მეტოქეს. შოთა გრიგალაშვილი ბურთის მისაღებად ხშირად იხევდა უკან და შემდეგ გრძელი პასით ცდილობდა მათე ვაწაძის და სანდრო გურულის პასებით მომარაგებას.

52-წუთზე გრიგალაშვილის უზადო პასი, მშვენივრად გახსნილი ვაწაძე და ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მაღალი კლასის ცენტრფორვარდია - ერთი შეხებით, საჯარიმოში შეუსვლელად კვიპროსელთა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი.

სტუმრად გატანილი ერთი ბურთით ორი მატჩის ჯამსი ანგარიში გათანაბრდა, რასაც მასპინძლები აშკარად არ ელოდნენ და მალევე შეეცადნენ საქმის გამოსწორებას. ისინი კი ცდილობდნენ, მაგრამ ქაოსურად, არაორგანიზებულად და «დილამაც» კიდევ ერთხელ დასაჯა მეტოქე - კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ლაშა სალუქვაძემ თავით უცვალა მიმართულება - ხარიხა, გადმოვარდნილ ბურთაან ისევ სალუქვაძე გაჩნდა და მცველებძთან ჭიდილში კვლავ თავით, ამჯერად უზუსტესი დარტყმით ორბურთიანი ჰანდიკაპი შექმნა საკუთარ გუნდს.

და კვლავ მათე ვაწაძე - გორელთა ფორვარდმა ულამაზესი გოლით, შორეული დარტყმით საბოლოოდ გაარკვია პლე ოფში გამსვლელი გუნდის ვინაობა და სწორედ მაშინ დაიწყო, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ცეცხლწაკიდებული ტრიბუნა, დამსხვრეული ვიდეოკამერა, გავეშებული კვიპრესელი ფანობა და უნგრელი მსაჯის გადაწყვეტილებით მატჩი შეწყდა - ფეხბურთელებმა გასახდელს მიაშურეს, ხოლო სტადიონზე ხულიგნების დაწყნარებას ცდილობდნენ.

ასეა თუ ისე, «დილა» პლე ოფში გავიდა და სრულიად დამსახურებულად, ბარაქალა გორელებს ბრძოლისთვია, ნაღდი ფეხბურთისთვის. რა გადაწყვეტილებას მიიღებს უეფა, ამაზე «ანორთოსისმა» და მისმა ხელმძღვანელობამ ინაღვლოს, ჩვენ კი პლეი ოფის კენჭისყრას დაველოდოთ.

ამერიკული მთები

ზურაბ თალაკვაძე

ლებრონ ჯეიმსმა სამმაგი დუბლი აიღო

ლიტვასთან ანდრეი კირილენკომ 19 ქულა და 13 მოხსნა აკრიფა

საკალათბურთო ტერარიუმში ამერიკა 119:86 გაერთო ავსტრალიასთან. არგენტინამ ბრაზილიას 82:77 აჩუქა. ესპანეთმა ბოლოს დაცალა სისხლისგან საფრანგეთი და რუსეთმა 83:74 დაჩეხა ლიტვა. საინტერესო იყო. ნახევარფინალში ლებრონის ქაშმირი არგენტინაზე გავიდა. რუსეთი ესპანეთში შევა. ან ესპანეთი გადაჭრის რუსეთს.

ლებრონის რუბიკ კუბიკი

ამერიკული სილამაზე კევინ სპეისის გარეშეც ლამაზი იყო. სპეისის როლი კობი ბრაიანტმა მიიღო და «ლეიკერსის» ჯოკერმა 20 ქულა წამოიღო. იქვე მისტერ დიურანმა ამოიღო მაჩეტე და ავსტრალიას მუხლებზე დაუსვა. იქვე დერონ უილიამსმა ჯონ სტოქტონის უფრო მოძრავი ვერსიის პრეზენტაცია მოაწყო. იქვე უნივერსალობდა კევინ ლავი და თეთრი ბიჭი კარგი იყო. ამერიკამ ლებრონ ჯეიმსისგან სამმაგი დუბლი მიიღო. ჯეიმსის სამმაგი დოზა მიიღო ავსტრალიამაც. მტკივნეული იყო.

ამერიკის სქემებში არავითარი სქემები არ არის. გადიხარ, ამერიკულად გაიზმორები, ამერიკულად დაამთქნარებ, ამერიკულად გადახედავ სიტუაციას და ამერიკულად ითამაშებ. მარტივი სქემა, რომელიც არც ერთ სქემაში არ ჯდება. მარტივი კალათბურთი, რომელიც ყველაზე რთულ სქემაზე მარტივი და რთულია. მარტივი ამერიკისთვის - ლებრონი, კობი და დიურანი ამერიკელები არიან. რთული არაამერიკისთვის - ლებრონი, კობი და დიურანი არაამერიკელები არიან.

ტაისონ ჩენდლერი - 6 ქულა, 2 მოხსნა, ბენ უოლასის დაცვა. ბიჭი ზედმეტი არ იყო.

კევინ დიურანი - 14 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, რამდენიმე არარეალური მოძრაობა.

კარმელო ენტონი - 17 ქულა, 4 მოხსნით, 5 არაზუსტი სამიანით. საკმარისი იყო.

ენტონი დევისი - სამ წუთში ქულა ვერ დაირტყა და ვერ გაქაჩა. მოუმატებს.

კრის პოლი - 7 ქულა, 5 ჩაჭრა. პროფესორის კიდევ ერთი ლექცია. პოლი კლასიკაა.

ლებრონ ჯეიმსი - 11 ქულა, 12 პასი, 14 მოხსნა. არარეალურად რეალური სტატისტიკა ცუდი ბიჭისგან. ლებრონმა ავსტრალიას ბევრჯერ აუსვა ზურგზე სამართებელი.

ჯეიმს ჰარდენი - ოთხ წუთში 7 ქულა გემრიელია. კალათბურთის ZZ Top.

კევინ ლავი - 10 ქულა, 11 მოხსნა, 8 მოხსნა სხვის ტერიტორიაზე. ლავმა პრობლემები მოაგვარა. სამწამიანში ბიჭი სუპერმენია. იცის, რა უნდა გააკეთოს და ეს საკმარისია.

კობი ბრაიანტი - 20 ქულა 19 წუთში. ბრაიანტი მოტივაციას მწვრთნელს, მაიკ კჟიჟევსკის უტოვებს და მერე ცოტა ხნით ართმევს. კობიმ ავსტრალიასთან ერთი (ბოლო) მეოთხედის მასტერკლასი ჩაატარა.

ანდრე იგუოდალა - 3 ქულა. «ფილადელფიაში» ბიჭი ბოსია. ამერიკის ნაკრებში არ ცელქობს და სხვას დისკომფორტს უქმნის. სხვები სხვები არიან.

დერონ უილიამსი - 18+3 მოხსნა+2 პასი+ტირანოზავრის ენერგია+მაგარი ნიჭი+სტამინა.

რასელ უესთბრუქი - 6 ქულა. მეტი არ იყო საჭირო. რასი ამ დოზით საკმარისია. ნაკრებში საკმარისია და «ოკლაჰომაში» ცოტა რასი ცოტა მოგებაა. მარტივი თემაა...

ჯინობილი

არგენტინამ ბონუსი დასვა. ორი წლის წინ, თურქეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ლუის სკოლამ ბრაზილიას არასრულფასოვნების კომპლექსი დაუტოვა. სკოლა იმ ტესტში არაჩვეულებრივი იყო და არგენტინა შემდეგ დონეზე გაიყვანა. სკოლა იყო მარვი და კონტინენტური გარჩევის კიდევ ერთ სერიაში უკვე მეორე არანორმალურმა დაშალა ბრაზილია. ლონდონში ემანუელ ჯინობილის ბისი წავიდა. ბისი ბევრი ძველი მელოდიით. ბისი არგენტინული ლტოლვით. ბისი მანუს გამოცდილებით. მაგარი ბისი.

არგენტინამ ბრაზილიას 82:77 დაუტოვა და ჯინობილიმ ტესტი 16 ქულით, თავისი გოთური შესვლებით და როლინგური ქარიზმით ჩახურა. ჯინობილიმ 36 წუთში 11/5 სროლა გამოიყენა. ნორმალური, მანუს კლასიკური პროცენტია. 8 მოხსნაც იქვე იყო. 3 პასიც. არარეალური დაცვა და აგრესია. ჯინობილიმ მოიგო და არგენტინა ამერიკაზეა. ცუდი და მოსალოდნელი პერსპექტივა. არგენტინას უნდა ჩაეძირა ბრაზილია და მანუმ ეს გააკეთა. ლუის სკოლამ ბევრი ფოლი მიიღო და ბევრი საჯარიმო (10/5) ვერ ჩასვა. სკოლა დაიხურა და არგენტინა თითქმის არდადეგებზე გაუშვეს. არდადეგები დირექტორმა ჯინობილიმ გადადო.

16 ქულა წამოიღო კარლოს დელფინომ და ხავიერ ბარდემის მაღალმა, არგენტინულმა ვერსიამ ყველა საჭირო მომენტში დაჭრა ბრაზილია. კიდევ ერთმა ვიკინგმა, ანდრეს ნოჩიონიმ 12 ქულა და 2 გარნეტული დაფარება უზრუნველყო.

ბრაზილიას უკეთ უნდა გამოეყენებინა სიმაღლე. ტიაგო სპლიტერთან (6+4 მოხსნა) ბურთი იშვიათად ჩადიოდა და «სან ანტონიოს» ბიჭი არასასროლი სიტუაციებიდან უშვებდა ბურთს. ნენემ (7+12 მოხსნა) სკოლაზე თავიდან ძალიან კარგი იყო და მერე ვერ გაქაჩა. ბარბოსამ 22 ქულა დასვა, მაგრამ ბოლოს შეუბერა და თავიდან პასიური ბრაზილიელი იყო. ანდერსონ ვარეჟაო (4+5 მოხსნა) პასიური აგრესორი იყო. არგენტინამ უკეთესი კალათბურთით უკეთესი გუნდი გააგდო.

მანუს პერსპექტივა: ამერიკასთან გართობა და ტრავმის მიღების მინიმალური რისკი.

ნოჩიონის პერსპექტივა: პეკინში ანდრესმა მაგრად შემოარტყა დუაიტ ჰოვარდს და ამერიკელების განიერი ბიჭი იქვე დასვა. ნოჩიონი ლებრონზე ან კევინ ლავზე წავა და იჩხუბებს. ანდრესი სულ ჩხუბობს.

კორიდა

ესპანეთმა ჯგუფში ორი ტესტი ვერ გაიარა. რუსეთთან კალდერონმა კარგად დაიწყო და ცუდად დაამთავრა. ფერნანდესი ხრიაპას არბალეტიდან დაიჭრა და მეორე ტაიმში იდგა. პო გასოლი საქმეს აკეთებდა და ბოლო წამებზე უეჭველად ჩასაგდები საჯარიმო ვერ ჩააგდო. მეორე გასოლმა მძიმედ და სპილბერგულად შეასრულა საშინაო დავალება, მაგრამ სამწამიანში იმპოტენტივით იდგა. ტიმოფეი მოზგოვი მარკ გასოლს ვერ უნდა აჩერებდეს. ის მოზგოვია და მარკი - გასოლი. რუსული გაუგებრობის შემდეგ წამოვიდა ბრაზილია და ესპანეთმა მეოთხედფინალის ოპონენტი შეუკვეთა. აგებ და გადიხარ ტონი პარკერზე. იგებ და სახე ლებრონ ჯეიმსის მძიმე მუშტს უნდა შეუშვირო. ესპანეთმა ლებრონთან პრივატი ცოტა გადააავადა. ესპანეთმა პარკერი შეუკვეთა.

საფრანგეთთან გასოლის ახლობლები იდგნენ და აგრესიული ტონის ფონზე თითქოს იკარგებოდნენ. პარკერმა და ბორის დიაომ გადახსნეს ესპანური ზონა, ნიკოლა ბატუმმა ჩაკ ნორისის მაიგერით სთხლიშა ნავაროს და ესპანეთმა მაინც მოიგო. ბოლო წუთებზე საფრანგეთი კალათბურთს უკალათბურთოდ თამაშობდა. პარკერი იზოლირებული იყო და დიაომ ესპანეთს ჭრილობიდან ნაკერები ვერ ამოაცალა. ფრანკენშტაინმა მწვანე მილი ბოლომდე გაიარა და საფრანგეთი ლავაში ჩადნა. ესპანური ლავა საშინელი რამაა.

სერჟ იბაკამ ტრიალში კარლ მელოუნივით სროლა ისწავლა და რუსეთთან დიდმა ბიჭმა თავისი ზონა უნდა დაიცვას. პო კირილენკოსა და მოზგოვზე არ უნდა დაიღალოს. იბაკა კარგი დამზღვევია და სერჟმა ეს იცის. ხანდახან, თუ ვინმე შეახსენებს, რომ ევროპაში კონტაქტურ კალათბურთს თამაშობენ, ცუდი არ იქნება.

ესპანეთი ფავორიტია. ამერიკის შემდეგ ესპანეთში ყველაზე ბევრი ყვავის ტუზია. კალდერონის ინტელექტით და გასოლის მეშვიდე სიმფონიით ესპანეთი სასიამოვნოდ მოსასმენი თემაა. პაკო დე ლუსია სტრავინსკიზე გადის. აკუსტიკა და კლასიკური არითმია.

ესპანური პერსპექტივა: რუსეთი უნდა დაიშალოს. გასოლის ბენდი რუსეთზე უკეთესია.

გასოლის პერსპექტივა: პო ჩემი ერთ-ერთი ფავორიტია. პო ბევრის ფავორიტია. გასოლი ოცქულიანი ტერორისტია და პომ ბოლო წამებზე საჯარიმოების გამოყენება უნდა ისწავლოს. ან ესპანეთი რუსეთთან სულ წააგებს. პომ ვერ ჩააგდო იმ, ხუთი წლის წინ მორჩენილ ფინალში.

AK 47

რუსეთი ლიტვაზე ღრმა, დისციპლინირებული, უკეთ მომზადებული გუნდია. ლიტვამ ვერ გაშალა მარაო და დევიდ ბლატმა ლიტვა წაიკითხა. ბლატი ამ ტურნირზე ყველაფერს კითხულობს და იმახსოვრებს. რუსები ამერიკელი მწვრთნელის ინტელექტით ქაჩავენ და ლიტვასთან ერთმა პერსონამ ისევ კარგად გააკეთა საქმე. AK 47. ლიტვა ანდრეი კირილენკოს აგრესიამ დაჩეხა. ლიტვამ ვერ გაიგო, როგორ აკრიფა კირილენკომ 19 ქულა, 13 მოხსნა. დევიდ ბლატმაც ვერ გაიგო, როგორ გაუტეხეს ცხვირი. ბლატი სიხარულის დომხალიდან ცხვირგატეხილი გამოვიდა. ბლატს გაეცინა.

რუსეთი ტურნირის დაწყებამდე მეორე ეშელონში იჯდა. ჯგუფში გააჩერა ნენეს, სპლიტერის, ვარეჟაოს ბრაზილია. ესპანეთთან 2:20 დაიწყო და ფრიდზონის ფესტივალით დაამთავრა. რაღაც თვალსაზრისით რუსეთი ფავორიტებზე ფავორიტი იყო. ესპანეთი უფრო ღრმა და სექსუალურია. ბრაზილია უფრო მოქნილი და საინტერესოა. ლიტვა შარასებით და კლეიზებით უფრო პრაიმკალათბურთს თამაშობს. რუსეთი იგებს. იქ დევიდ ბლატის ინტელექტი და ანდრეი კირილენკოს სტამინაა. ესპანეთთან რუსეთი მეორე ნომერია და ესპანეთთან ბლატმა კიდევ ერთხელ უნდა გადაიკითხოს საკუთარი კონსპექტები. ბლატის კონსპექტებში სიბრძნე და სიჯიუტეა.

83:74 კარგი ანგარიშია. რუსეთისთვის, ლიტვასთან კარგი და სანდო ანგარიში. ლინას კლეიზა ლიტვაში დრაჟენ პეტროვიჩია და რუსულმა პრესმა კლეიზა 4 ქულაზე დატოვა. ლინასმა 7 საშუალო გაუშვა, 6 ვერ ჩასვა და სამიანი საერთოდ ვერ ისროლა. კლეიზაზე ხრიაპა და კირილენკო ადიოდნენ. ლინასი დაიღალა. ლიტვაც. ბოლო წუთებზე ბლატის მანქანა ტერმინატორი იყო. ესპანეთთან სერიოზული ლაპარაკი წავა. ბევრი სისხლით და გაჩეხილი წარბით. ბევრი მოგონებით და გასახსენებლით. **რუსული პერსპექტივა**: მინუს 10 ესპანეთთან, წაგებული თამაში არგენტინასთან, მესამე ადგილისთვის.

ბლატის პერსპექტივა: იგებს ესპანეთთან, გადის ფინალში ამერიკაზე და ბლატის მანქანას შლიან. დევიდი რუსების გრეგ პოპოვიჩი, ქარიზმატეული ბოსია. დიდი ბოსი.

საქARTველოს შემდეგი დონე

ზურაბ თალაკვაძე

უკრაინაზე ვიქტორ სანიკიძე დაიძრა

ბოლო ტესტში უკრაინას 95:69 დავუტოვეთ. უკრაინა, ესტონეთი და ბელარუსი რაღაც მომენტში უნდა გაიარო. შენზე ოდნავ სუსტ ნაკრებთან იგებ, იცი, რომ ყველა ვარიანტში მოიგებ და მშვიდდები. უბრალოდ, შარშან, უკრაინასთან და ამ დონის ბანდებთან დიდი სხვაობით ვერ აგვარებდი პრობლემებს. დიდი სხვაობით და პოზიტივის უფრო დიდი მარაგით. უკრაინას ევრობასკეტზეც მაიკ ფრატელო ალაგებდა. ჩვენთან ემოციებს ისევ იგორ კოკოშკოვი აკონტროლებს და ნაკრები გაიზარდა. არაეალურად გაიზარდა. უკრაინასთან პირველ ტაიმში სწრაფი, მოქნილი კალათბურთი წავიდა. ზაზა ფაჩულიას სტაბილური დომინაციით, თორნიკე შენგელიას არაეალური მოძრაობებით და მანუჩარ მარკოიშვილის ბომბარდირებით. ნაკრები ახალ დონეზეა და საკუთარ ტერიტორიაზე მოგებული ტურნირის შემდეგ, რუმინეთს შევხედავთ. და ყველა ვარიანტში გადავჭრით. რუმინეთზე უფრო სერიოზული გუნდების ტერიტორიაზე მოგებაც მოსულა. მალე მოვიგებთ.

საქართველოს ნაკრები მოქნილ კალათბურთს თამაშობს. სწრაფი კალათბურთით სწრაფად ვხსნით სხვის ზონებს. პოზიციურ კალათბურთში გვყავს ფაჩულია და უკვე, შენგელია. იქვე მოძრაობს გიორგი შერმადინი, რომელიც ახალი სეზონიდან დევიდ ბლატთან, «მაკაბიში» იქნება. დევიდთან ბლატის აკადემიაში შედიხარ და სწავლობ.

ნაკრები გავიდა დონეზე, რომელიც თითქმის იქ, ლიტვებთან და საბერძნეთებთან უნდა იყოს. ევროპაში მოდიან გრანდები (ესპანეთი, საფრანგეთი), ძალიან კარგი გუნდები (რუსეთი, ოპტიმალური სლოვენია, ოპტიმალური თურქეთი) და შემდეგი ეშელონი (ლიტვა, საბერძნეთი, იტალია, სერბეთი, გერმანია, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი). მერე დანარჩენი ევროპაა და იქ, დანარჩენებში იდგა საქართველოც. დღეს ერთი დონით წინ ვართ. ამ შემადგენლობით ანდრეა ბარნიანის და მარკო ბელინელის იტალიასთან მოგება რეალურია. ნებისმნიერ, ქართულ, იტალიურ თუ ნეიტრალურ დარბაზშია რეალური. საქართველოს ნაკრების სიღრმეც იზრდება და მეტი პერსონაჟის გამოყენებით მეტს ვიგებთ.

კოკოშკოვიც გაიზარდა. ამერიკულ ლიგაში ასისტენტობა პერსპექტივაში წავა, მაგრამ ნაკრების ბოსობა სხვა თემაა. იქ რჩევას არ აძლევ. იქ გიყურებენ რიდით, გისმენენ და ცდილობენ, შენი ყველა რჩევა, სიტყვა დაიჭირონ, დაიმახსოვრონ. ნაკრებში კოკოშკოვი რაღაც იაღლიშებს უშვებდა და იგორიც გაიზარდა. პროცესი პარალელურად მიდის და ეს მშვენიერია. კოკოშკოვმა ნაკრების ბიცეფსების ბოლომდე გამოყენება ისწავლა. ნაკრები ფიზიკურად მაგარს მუშაობს და ნაკრები ფიქრობს. მომენტებში, რაღაცას ავტომატურად ვაკეთებთ, მაგარმ ესეც ნორმალურია. თუ იგებ და თამაშით კაიფობ, სიამოვნება დიდი დოზით მოდის. კოკოშკოვმა ეს კაიფი დაიჭირა და საქართველოს ნაკრები საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესოა. ალბათ, საქართველოში ყველა გუნდურ, სათამაშო ნაკრებში. საწყენი ნაღდად არ არის. კალათბურთში პროგრესი სწრაფად, უსეინ ბოლტივით მიდის და ეს სასიამოვნოა. საქართველოს ნაკრებში პროფესიონალები და ჭკვიანი ბიჭები არიან.

შეიძლება წავაგოთ ლატვიასთან ან ბოსნიასთან. მაგარი მეეჭვება, რომ წავაგებთ, მაგრამ თუ მაინც გავიფუჭებთ ხასიათს, პრობლემ,ა არ არის, ხდება ხოლმე. ბოსნიაც ნორმალური გუნდია და ლატვიაც აკეთებს საქმეს. უბრალოდ, პოტენციალით და ამ პოტენციალის გამოყენების ნიჭით, ლატვიაზე და ბოსნიაზე წინ ვართ. ყველაფერი მაგრად მიდის. საკვალიფიკაციო ციკლში ბევრი რაღაცის დაქაჩვა, გამოსწორება შეიძლება. კოკოშკოვს შეცდომის დაშვების დრო ექნება. ამ რესურსით ექნება.

თუ შენგელია და ვიკა სანიკიძე არ გაჩერდებიან, ევროპაში გამორჩეული კრიმინალები გვეყოლება. საკალათბურთო კრიმინალები, რომლებიც მოურიდებლად შექმნიან ქაოსს, აატირებენ სხვებს და საქმეს კარგად დაამთავრებენ. საქართველოს ნაკრები ნირვანაა.

ტურნირი დაიხურა და ტექნიკური ამბების გასაგებად, ჩვენი ფედერაციის საიტზე შეისეირნეთ. სტატისტიკურ ინფორმაციას იქ მიიღებთ. სხვა ამბავში, ეს საქართველო წინა საქართველოზე კარგი, ლამაზი, უკომპლექსოა. კოკოშკოვის ნაკრები კოკოშკოვთან ერთად გაიზარდა.

ჩვენთან ემოციებს იგორ კოკოშკოვი აკონტროლებს და ნაკრები იშლება. არაეალურად იშლება. ნაკრები ახალ დონეზეა და საკუთარ ტერიტორიაზე მოგებული ტურნირის შემდეგ, რუმინეთს შევხედავთ. და ყველა ვარიანტში გადავჭრით. საქართველოს ნაკრების სიღრმეც იზრდება და მეტი პერსონაჟის გამოყენებით მეტს ვიგებთ.

კოკოშკოვი გაიზარდა. თავის ნაკრებთან ერთად.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია